ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 27 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 27 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 27

დ. ხარაგაული **27 ნოემბერი 2020 წელი**

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

პაატა გოგოლაძე - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე

ვარლამ ჭიპაშვილი- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე - საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

ინგა მაღრაძე - საკრებულოს ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის" თავმჯდომარე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი:

პეტრე შარიქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

საკრებულოს აპარატი:

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თამარ მაღრაძე - ა.(ა) ი. პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" თანამშრომელი,

მარიამ შარიქაძე - ა. (ა) ი. პ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

თეა ბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა.

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2021 -- 2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს: პეტრე შარიქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N 27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3. **სხვადასხვა:**
   N 48 ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის მერის რიგგარეშე არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერად კობა ლურსმანაშვილის არჩევის შესახებ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2021 – 2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ინგა მაღრაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა საკითხის მომხსენებელს იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში იყო თუ არა დიფერენცირებული პროექტების განხორციელების თანმიმდევრობა წლების მიხედვით და ხომ არ ჯობდა 4 წლიან სამოქმედო გეგმაში გზების რეაბილიტაცია არ დაეყოთ ეტაპებად.

პ. შარიქაძემ უპასუხა, რომ წარმოდგენილ გეგმაში ასახული პროექტების განხორციელება დალაგებულია წლების მიხედვით, ხოლო გზების რეაბილიტაცია ეტაპებად არ არის დაყოფილი.

დავით კიკნაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა საკითხის მომხსენებელს, იყო თუ არა წარმოდგენილ გეგმაში გათვალისწინებული სოფელ საღანძილეში სოფლის ადმინისტრაციული შენობის აშენება.

პ. შარიქაძემ უპასუხა, რომ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი სოფლის ადმინისტრაციული შენობის აშენებას არ ითვალისწინებს და მასეთი შენობები უნდა გაკეთდეს ადგილობრივი ბიუჯეტისა და სხვა ფონდებიდან მოძიებული თანხების შედეგად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2020 წლის 30 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე-11

წინააღმდეგი-0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 30 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N 27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ინგა მაღრაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა საკითხის მომხსენებელს, თუ რაში დაჭირდა ა.(ა)ი.პ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას ხელფასების ფონდიდან თანხების წინასწარ გახარჯვა და რატომ ითხოვენ მის შევსებას.

ვ. გელაშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული გაერთიანების სახელფასო ფონდის შევსება საჭირო გახდა იმის გამო, რომ მიმდინარე წლის დეკემბრის თვის ხელფასების ფონდიდან თანხები გადატანილ იქნა სხვადასხვა ხარჯების დასაფარაცად, თანაც ხსენებულ ა(ა)ი.პ-ს დაემატა ერთი საშტატო ერთეული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2020 წლის 30 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე - 11,

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 30 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ოთარ ლურსმანაშვილმა, ბიუროს წევრებს გააცნო N 48 ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიიდან გადმოგზავნილი მერის რიგგარეშე არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერად კობა ლურსმანაშვილის არჩევის შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, წარმოდგენილი ინფორმაციის 2020 წლის 30 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში სხვა და სხვა საკითხად შეტანის თაობაზე, მისი ცნობად მიღების მიზნით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე - 11,

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

წარმოდგენილი ინფორმაცია შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 30 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში სხვა და სხვა საკითხად, მისი ცნობად მიღების მიზნით.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს საკრებულოს 2020 წლის 30 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს რიგგარეშე სხდომის მიერ განსასილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე